ISSN 1512-1801

უაკ 37.01

,,მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდა და ცოდნის დონის ამაღლება ძველი ქართული ლიტერატურის სწავლებისას“

ნანა ცანავა
ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი
ქუთაისის N21 საჯარო სკოლა, აღმაშენებლის N63

ანოტაცია

კონტექსტი: *საჯარო სკოლების საშუალო საფეხურზე ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობისა და აკადემიური მოსწრების დაბალი დონე. განსაკუთრებული სირთულეებით გამოირჩევა მეათე კლასი, როცა ქართულ ენასა და ლიტერატურაში ისწავლება ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლები. არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შემცირებისათვის ქუთაისის N21 საჯარო სკოლის მე-10 კლასში 2015-16 სასწავლო წელს ჩატარდა პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა, რომლის მიზანი იყო მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდა და ცოდნის დონის ამაღლება.* ***მეთოდები:*** *საკვლევ ქვეკითხვებზე პასუხების გასაცემად გამოყენებული იყო კვლევის როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი მეთოდები: ფოკუსჯგუფი, აღწერითი, ფოკუსირებული და შერჩევითი დაკვირვება, შუალედური დიაგნოსტიკური ანკეტირება; დაიგეგმა ინტერვენციები: საკონტროლო ტესტირებები მთელი წლის განმავლობაში, თანაბარი სიძლიერის ჯგუფების შექმნა და ჯგუფური მუშაობები; კვლევის* ***შედეგები:*** *მონაცემთა ანალიზისა და განხორციელებული ინტერვენციების შეფასების საფუძველზე დადგინდა, რომ ამაღლდა მოსწავლეთა მოტივაცია, გაუმჯობესდა სწავლის შედეგები და გაიზარდა მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში.* ***დასკვნა:*** *მიუხედავად ამისა, მიგვაჩნია, რომ საჭიროა კომპლექსური ცვლილებების განხორციელება განათლების სისტემაში საჯარო სკოლებში სწავლება-სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, უნდა შეგვეძლოს 21-ე საუკუნის უნარ-ჩვევები გამოვუმუშაოთ ახალგაზრდებს, რათა გახდნენ ისინი კონკურენტუნარიანები მსოფლიო გამოწვევების წინაშე.*

საკვანძო სიტყვები: *მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდა, ცოდნის დონის ამაღლება, საკონტროლო ტესტირებები, ჯგუფური მუშაობის ფორმები;*

შესავალი

კვლევის საკითხის განსაზღვრა და პრობლემის აქტუალობის დასაბუთება

პედაგოგიურმა პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ მოსწავლეთა მოტივაცია სწავლების დაწყებით საფეხურზე უფრო მაღალია, ვიდრე საშუალო საფეხურზე. თუ დაბალ კლასებში მოსწავლეთა უმეტესობა ჩართულია საგაკვეთილო პროცესში და აკადემიური მოსწრებაც მაღალია, საშუალო საფეხურზე მოსწავლეთა მოტივაცია ეცემა, მათი ჩართულობა იკლებს, შესაბამისად, აკადემიური მოსწრებაც ქვეითდება. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება მე-10 კლასში, როცა ქათულ ენასა და ლიტერატურაში სწავლობენ ძველ ქართულ ლიტერატურას: სასულიერო პროზას,

ISSN 1512-1801

კლასიკური და აღორძინების ხანის მწერლობას. ყველასათვის ცნობილია, რომ ამ ტექსტების სწავლება გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული. განსხვავებულ ისტორიულ-კულტურულ კონტექსტს ემატება ენობრივი ბარიერი, რაც დამატებით მუშაობას ითხოვს ლექსიკონებთან და პერიფრაზირებასთან დაკავშირებით. მოსწავლეთა უმრავლესობა ვერ უმკლავდება სიძნელეებს და სწავლას საერთოდ ანებებს თავს. ეცემა ცოდნის დონე და შესაბამისად ქვეითდება აკადემიური მოსწრებაც.

არსებული სიტუაცია, სამწუხაროდ, გრძელდება წლების განმავლობაში და მისი საბოლოო მოგვარების, ან შემცირების ტენდენცია არ შეიმჩნევა. პრობლება პრობლემად რჩება - მოსწავლეთა უმეტესობა დაბალი აკადემიური მოსწრებით გამოირჩევა, მათ არ გააჩნიათ სწავლისადმი არც შინაგანი და არც გარეგანი მოტივაცია, რადგან არც დაწერილი ქულა აინტერესებთ და არც სადამსჯელო სანქცია არსებობს, რეალური, რაც მათი ქცევის ცვლილებას გამოიწვევდა. სიტუცია კიდევ უფრო მძიმდება მე-10 კლასში ძველი ქართული ლიტერატურის სწავლების დროს, როცა დამატებით სირთულეს ქმნის ტექსტების მოცულობები და ენობრივი ბარიერი.

ჩვენ სრულიად დარწმუნებული ვართ, რომ საკითხი კომპლექსურ მიდგომებს მოითხოვს, რაშიც სახელმწიფოს როლი უმნიშვნელოვანესი იქნება, თუმცა, ვთვლით, რომ აღნიშნული პრობლემის შემცირებას თითოეული ჩვენგანი უნდა შეეცადოს საკუთარი ძალისხმევით. აქედან გამომდინარე, კვლევის მიზნად განისაზღვრა მე-10 კლასში ქართულ ენასა და ლიტერატურაში მოსწავლეთა დაბალი აკადემიური შედეგების გამომწვევი მიზეზების დადგენა, შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვა, განხორციელება და მიღწეული შედეგების შეფასება. სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა მე-10 კლასის მოსწავლეები (29 მოსწავლე).

საკვლევი კითხვების ფორმულირება

კვლევის მთავარი კითხვა იყო, თუ რა იწვევდა მე-10 კლასში აკადემიური მოსწრების დაქვეითებას. მთავარ კითხვაზე პასუხის გასაცემად ჩამოყალიბდა შემდეგი ქვეკითხვები:

- რამდენად გებულობენ მოსწავლეები ძველ ქართულ ენაზე დაწერილ ტექსტებს?
- არის თუ არა ძველი ქართული ტექსტები მათთვის მისაღები შინაარსობლივი და იდეური თვალსაზრისით?
- შეესაბამება თუ არა ძველი ქართული ტექსტები მათ ინტერესებს?
- შეესაბამება თუ არა ძველი ქართული ტექსტები მათ საჭიროებებს?
- არის თუ არა სირთულე ტექსტების მოცულობაში?
- რამდენ ხანს ანდომებენ სახლში საშინაო დავალების შესრულებას და არის თუ არა ეს დამღლელი მათთვის?
- ხომ არ მდგომარეობს პრობლემის მიზეზები მათ პიროვნულ თვისებებსა და, ზოგადად, სწავლისათვის შესაბამისი უნარ-ჩვევების არქონაში?

კვლევის მეთოდები

საკვლევ კითხვებზე პასუხის გასაცემად გამოყენებული იყო კვლევის როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი მეთოდები:

- გამოცდილების გასაზიარებლად, ჩატარდა მასწავლებებთან ფოკუსჯგუფი, რომლის მიზანი იყო იმის დადგენა, რამდენად იცნობენ მასწავლებლები ეფექტიან სტრატეგიებს ძველ ქართულ ტექსტებზე მუშაობის დროს, რამდენად იყენებენ მათ

ISSN 1512-1801

პრაქტიკულ საქმიანობაში, ასევე, რამდენად თანამშრომლობენ ისინი სწავლების პროცესში წარმოქმნილი სირთულეების დასაძლევად.

- განხორციელდა აღწერითი, ფოკუსირებული და შერჩევითი დაკვირვება დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებზე;
- გაანალიზდა საკონტროლო შემაჯამებელი სამუშაოების შედეგები;
- ჩატარდა ანკეტირება მოსწავლეებთან;

მონაცემების შეგროვება და კვლევის შედეგების ანალიზი

მონაცემთა შეგროვებამ და შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ

- მასწავლებლები იცნობენ ეფექტიან სტრატეგიებს, თუმცა ვერ იყენებენ ძველ ქართულ ტექსტებზე მუშაობის დროს, რადგან საგაკვეთილო დროის დიდი ნაწილი მთლიანად მიაქვს პერიფრაზირებას, ეს კი აუცილებელი და სავალდებულოა, რადგან მოსწავლეებს დამოუკიდებლად უჭირთ ძველი ქართული ტექსტების გაგება;
- მასწავლებლები ძირითადად არ თანამშრომლობენ ერთმანეთთან სწავლების პროცესში წარმოქმნილი სირთულეების დასაძლევად და არ უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას;
- აღწერითი დაკვირვების დროს გამოვლინდა, რომ აკადემიურად ჩამორჩენილი მოსწავლეები არ არიან საგაკვეთილო პროცესში ჩართულნი, არ რეაგირებენ ყოველდღიურად დაწერილ დაბალ ნიშანზე, ეშინიათ მხოლოდ შემაჯამებელი საკონტროლო წერების და ამ დროს ცდილობენ გადაიწერონ პასუხები, რათა აჩვენონ დამაკმაყოფილებელი შედეგები;
- ფოკუსირებულმა დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ასეთი მოსწავლეები ვერ აკეთებენ ტექსტების პერიფრაზირებას და, აქედან გამომდინარე, ვერც გებულობენ ნაწარმოებს;
- შერჩევითმა დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებს უჭირთ არქაიზმებისა და არქაული გამონათქვამების გაგება და ამიტომ ეცემა სწავლისადმი მოტივაცია.
- პირველი საკონტროლო წერის შედეგების ანალიზმა გვიჩვენა, რომ მოსწავლეთა 52% -მა დაიმსახურა არადამაკმაყოფილებელი შეფასება, 14% -მა - საშუალო, 25% -მა - საშუალოზე მაღალი და 7%-მა - მაღალი;
- შუალედური დიაგნოსტიკური ანკეტირების საფუძველზე გამოიკითხა 26 მოსწავლე. დადგინდა რომ:

- ძველ ქართულ ტექსტებს იგებს მოსწავლეთა 57% ;
- ჰაგიოგრაფია და ,,ვეფხისტყაოსანი“ შინაარსოვლივი, იდეური და მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით მისაღებია 96% -ისთვის;
- ჰაგიოგრაფიული ტექსტები შეესაბამება მოსწავლეთა 70 % -ის ინტერესებს, ხოლო 89% თვლის, რომ შეესაბამება მათ საჭიროებებს;
- ,,ვეფხისტყაოსანი“ შეესაბამება მოსწავლეთა 85 %-ის ინტერესებს და 77%-ის საჭიროებებს;
- საშინაო დავალების შესრულების სირთულეებთან დაკავშირებით გამოვლინდა, რომ 50% ჩვეულებრივზე ცოტა მეტ დროს ანდომებს ქართულში დავალების შესრულებას და ეს მათთვის მისაღებია, 20%-ისთვის ეს დამღლელია, ხოლო 30 %-საერთოდ არ ასრულებს საშინაო დავალებას;
- დაბალი აკადემიური მოსწრების მიზეზებზე სულ 8 მოსწავლემ უპასუხა, აქედან 5-მა ჩათვალა, რომ მას ეზარება მეცადინეობა, რადგან არ გააჩნია შესაბამისი უნარები, 2-ს

ISSN 1512-1801

დრო არ რჩება, რადგან სპორტითაა დაკავებული, ხოლო 1 მოსწავლე თვლის, რომ არ მიიჩნევს აუცილებლად სასკოლო დავალებების შესრულებას, რადგან მისთვის პრიორიტეტი ზოგადი განათლების მიღებაა.

ჩარევის (ინტერვენციის) დაგეგმვა

გაანალიზებულ შედეგებზე დაყრდნობით დაიგეგმა შემდეგი ინტერვენციები:

- მოსწავლეების მხრიდან საკოტროლო წერების მიმართ განსაკუთრებული პასუხისმგებლობითი დამოკიდებულებიდან გამომდინარე, დაიგეგმა საკონტროლო ტესტირებები მთელი წლის განმავლობაში (სულ 9 ტესტირება).
- პერიოდულად იქმნებოდა თანაბარი სიძლიერის ჯგუფები, რომლებშიც წარმატებული მოსწავლეები ეხმარებოდნენ დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებს;
- შემაჯამებელი სამუშაოების წინ ტარდებოდა ჯგუფური სამუშაოები, რომლის დროსაც მოსწავლეები ერთად ამუშავებდნენ და აანალიზებდნენ საკონტროლო ტესტირებების ფარგლებში ჩასათვლელ მასალას;
- წარმატებული მოსწავლეები ეხმარებოდნენ სუსტ მოსწავლეებს და პერიოდეულად ინფორმაციას მაწვდიდნენ მათი შედეგების შესახებ;
- ხდებოდა საკონტროლო შემაჯამებელი ტესტირებების შედეგების ერთობლივი გაანალიზება და თვითშეფასება;
- ჩატარდა ანკეტური გამოკითხვა მოსწავლეებთან სასწავლო წლის დამამთავრებელ ეტაპზე კვლევის ფარგლებში დაგეგმილი ინტერვენციების შეფასების მიზნით;

ინტერვენციების შედეგები და მათი ანალიზი

ინტერვენციების განხორციელებამ დადებითი შედეგები გამოიღო მთელი კლასისთვის. დაკვირვებამ აჩვენა, რომ როგორც წარჩინებული, ისე აკადემიურად ჩამორჩენილი მოსწავლეები, დიდი ინტერესით მუშაობდნენ ჯგუფურად, თვითონ ადევნებდნენ თვალს საკონტროლო წერების განრიგს და ითხოვდნენ ჯგუფური მუშაობის ჩატარებას. ჯგუფური მუშაობის დროს ავლენდნენ კოლაბორაციის უნარებს, ეხმარებოდნენ ერთმანეთს, და, რაც მთავარია, ამას უკვე დიდი ხალისით აკეთებდნენ.
ჯგუფები იქმნებოდა პერიოდულად, მასალის გარკვეული ნაწილის გავლის შემდეგ. წარმატებულ მოსწავლეებს მიმაგრებული ჰყავდათ სუსტი მოსწავლეები, ან ისეთები, რომლებმაც გარკვეული მიზეზების გამო იმ დღეს მასალის სახლში დამუშავება ვერ მოასწრეს. მოსწავლეები მუშაობდნენ ერთად, აკეთებდნენ ტექსტის პერიფრაზირებას, ამუშავებდნენ შინაარსს, სწავლობდნენ არქაიზმების მნიშვნელობას, აანალიზებდნენ მხატვრულ ხერხებს, უსვამდნენ ერთმანეთს შეკითხვებს. ჯგუფური მუშაობა გრძელდებოდა მთელი გაკვეთილის განმავლობაში. მეორე დღეს საპასუხოდ გამოძახებული იყო სუსტი მოსწავლეები და, თუ ისინი ვერ უპასუხებდნენ რომელიმე შეკითხვას, მაშინ პასუხობდა მის ჯგუფში მომუშავე ძლიერი მოსწავლე. ამით საშუალება მექმნებოდა მთელი ჯგუფის ცოდნა შემემოწმებინა ზოგადად, კონკრეტულად კი ამ ორ მოსწავლეს ვაფასებდი ქულებით.

საკონტროლო ტესტირება იმართებოდა მას შემდეგ, რაც ყველა ჯგუფიდან 2-3 მოსწავლე მაინც გამოიკითხებოდა და ინფორმირებული ვიქნებოდი არსებული მდგომარეობის შესახებ.

ISSN 1512-1801

ტესტირების დამთავრების შემდეგ ერთობლივად ვაანალიზებდით შედეგებს. მათ წინ ედოთ თავიანთი ნაშრომები, თავდაპირველად ითვლიდნენ გაცემული პასუხების რაოდენობას, აწერდნენ რვეულის არეზე და იქვე აღნიშნავდნენ გადასწორებული პასუხების რაოდენობასაც. შემდეგ იწყებოდა ტესტის განხილვა, ბოლოს ითვლიდნენ სწორი პასუხების რაოდენობას, და ახლა ამ ციფრს მიაწერდნენ გაცემული პასუხების ქვემოთ. ამის შემდეგ თავად გამოჰყავდათ ქულები მათემატიკური ფორმულით (სწორი პასუხების რაოდენობა გამრავლებული 10-ზე, გაყოფილი ტესტის ქულების რაოდენობაზე). ასეთი ფორმით ჩატარებული თვითშეფასება იყო საინტერესო, სახალისო და აზარტული.

დაკვირვებითა და მოსწავლეების გამოკითხვით დადგინდა, რომ ჩატარებული აქტივობებით: ურთიერთდახმარებით ჯგუფური მუშაობის დროს, ტესტირებებით, თვითშეფასებებით - მოტივაცია საგრძნობლად ამაღლდა, მოსწავლეთა ჩართულობა გაიზარდა სასწავლო პროცესში, შესაბამისად, სწავლის დონეც გაუმჯობესდა. ეს უკანასკნელი გაიზომა საკონტროლო წერების საშუალო არითმეტიკულით.

საკონტროლო ტესტირებების საშუალო არითმეტიკული

საკონტროლო ტესტირებები	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX
საშუალო არითმეტიკული	5	7	6	7	9	8	7	8	6

თვალსაჩინოა, რომ პირველი საკონტროლოს შედეგთან შედარებით მომდევნო საკონტროლოებზე მაღალი დონე ფიქსირდება, თუმცა ზოგჯერ კლებაც ხდება. ამის მიზეზი ტესტების სხვადასხვნაირ სირთულეში მდგომარეობს. ზოგიერთი ტესტი, მასალის მოცულობიდან გამომდინარე, 50- კითხვიანი იყო, ზოგი - 80 -კითხვიანი და ა. შ. მაგ. ,,ვეფხისტყაოსანზე“ ტესტი N7 საკონტროლოში იყო 100 -კითხვიანი და მოიცავდა მთლიან ტექსტს, ამიტომ შედეგი აქ ნაკლებია. ტესტირებების დაგეგმვისას მთავარი ჩემთვის მაინც პროგრამული მასალის მაქსიმალურად გათვალისწინება იყო და არა შედეგების რეიტინგული ზრდის ჩვენება. ამ უკანასკნელისთვის რომ მიმეღწია, ყველა ტესტი თანაბარი სიძლიერის უნდა ყოფილიყო, თუმცა ეს შეიძლება სხვა შემთხვევში გავითვალისწინოთ და რეკომენდაციად მივიჩნიოთ.

მოსწავლეებთან გასაუბრებამ მიჩვენა, რომ ბოლო საკონტროლო ტესტირების დაბალი შედეგები განაპირობა გაკვეთილების გაცდენებმა, რაც გამოწვეული იყო სკოლის გარეთ სხვადასხვა აქტივობაში მათი მონაწილეობით, სწავლის დასასრულის მოახლოებით გამოწვეული დემოტივაციით და ბოლოს შესწავლილი მასალის უინტერესობით, კერძოდ, დავით გურამიშვილის ,,დავითიანის“ მიმართ მოსწავლეების არც თუ ისე დადებითი დამოკიდებულებით, რაც აისახა ანკეტურ გამოკითხვებშიც.

ინტერვენციების განხორციელების დასრულების შემდეგ ჩატარდა ანკეტური სახელობითი გამოკითხვა განხორციელებული ქმედებების შეფასების მიზნით. მონაწილეობა მიიღო 21-მა მოსწავლემ, დანარჩენები სკოლაში არ მოსულან. ანკეტის ანალიზმა ასეთი შედეგები გვიჩვენა:

- ჯგუფური მუშაობები სწავლაში დაეხმარა აბსულუტურად ყველას, 100%-ს, ტესტირებები - 96%-ს;

ISSN 1512-1801

- ჯგუფური მუშაობები სახალისო იყო 86%-ისთვის, ტესტირებები - 80%-ისთვის;
- ორივე ინტერვენცია საშუალოდ შეაფასა 28%-მა, კარგად -72%-მა, უარყოფითად - არც ერთმა;
- ჯგუფურ მუშაობებში სხვას ეხმარებოდა 42%, სხვები ეხმარებოდნენ -58%-ს;
- ტესტირებების დროს პასუხები არასდროს გადაუწერია 48%-ს, ზოგჯერ გადაწერა- 52%-მა;
- ცოდნის მიღებაში მხოლოდ მასწავლებლის როლი გამოკვეთა 14-%-მა, მასწავლებლისა და ამხანაგების როლი - 86%-მა;
- სწავლის შედეგების გასაუმჯობესებლად ტექსტების ადაპტირების მომხრეა 76%, კლასში მოსწავლეთა რაოდენობის შემცირება სურს-19%-ს ;
- შესწავლილი ტექსტებიდან მოსწავლეთა უმეტესობას მოეწონა და გაუიოლდა მუშაობა ,,ვეფხისტყაოსანზე“ - 42%, იოანე საბანისძის ,,აბოს წამება“ და სულხან-საბა ორბელიანის ,,სიბრძნე სიცრუისა“ გაუიოლდა – 19%-ს, გიორგი მერჩულეს ,,გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ – 10%-ს, იაკობ ხუცესის ,,შუშანიკის წამება“ და დავით გურამიშვილის ,,დავითიანი“ -5%-ს;
- შესწავლილი ტექსტებიდან პროგრამაში დატოვებდა ,,შუშანიკის წამებას“ -100%, ,,ვეფხისტყაოსანს“ - 84%, ,,აბოს წამებას“, ,,გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას“, ,,სიბრძნე სიცრუისას“-94%, ,,დავითიანს“ -61%; (ამ ბოლო შეკითხვას 18-მა მოსწავლემ გასცა პასუხი).

ბოლო ორი შეკითხვის, ერთი შეხედვით, ურთიერთსაწინააღმდეგო პასუხებიდან გამომდინერე, კარგად ჩანს, რომ ,,შუშანიკის წამება“ აბსოლუტურ უმრავლესობას მოსწონს (ტოვებენ პროგრამაში), თუმცა გაუჭირდათ მასზე მუშაობა. ეს ნათლად მიუთითებს კვლევის ეფექტიანობაზე, რადგან სწორედ პირველი საკონტროლოს დაბალი შედეგები გახდა პრობლემის იდენტიფიცირებისა და კვლევის განხორციელების საბაბი, ამ დროს ინტერვენციები, ბუნებრივია, დაწყებული ვერ იქნებოდა.

მოსწავლეებმა იოლად აღიქვეს ,,აბოს წამება“ და ,,სიბრძნე სიცრუისა“. გამოკითხვის დროს აღნიშნეს, რომ მცირე მოცულობის გამო არ გაუჭირდათ მათზე მუშაობა; ,,ვეფხისტყაოსანი“ ძალიან მოეწონათ, თუმცა მოცულობის გამო ზოგიერთებს უჭირს მისი შესწავლა; ,,დავითიანში“ არ მოეწონათ ერთიანი სიუჟეტური ხაზის უქონლობა და ბიბლიური მეტაფორებით გადატვირთული თავები, თუმცა შესაძლოა სწავლის დასასრულით გამოწვეულმა საერთო განწყობამაც იქონია გავლენა მოტივაციის დაცემაზე.

- თვითშეფასების დროს 33%-მა საკუთარი თავი შეაფასა 9 ქულით, 22%-მა 7-8 ქულით, 11%-მა -- 5-6 ქულით, 5%-მა - 4 ქულით; ეს შედეგები წლის ბოლოს დაწერილ ქულებთან შედარებით ნაკლებია, რაც, ვფიქრობ, მოსწავლეთა ობიექტურობასა და კეთილსინდისიერებაზე მეტყველებს.
- სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით თავიანთი შეხედულება მოსწავლეთა უმეტესობამ არ დააფიქსირა, ზოგიერთებმა აღნიშნეს, რომ კარგი იქნებოდა:

1. მოსწავლეთა რაოდენობის შემცირება კლასებში;
2. საინფორმაციო-ტექნოლოგიური საშუალებების ჩართვა სასწავლო პროცესში;
3. დისკუსიების გამართვა უფრო მეტი ინტენსივობით;
4. პროექტებზე მუშაობა;
5. ჯგუფურები მუშაობების გაგრძელება;

ISSN 1512-1801

აღნიშნული აქტივობები, მართლაც შეესაბამება თანამედროვე სწავლების მოთხოვნებს, თუმცა მათი ხშირი გამოყენებით არსებულ სიტუაციაში (ტექსტების მოცულობები, ძველი ქართული ენის სპეციფიკა), ვერ ხერხდება მასალის ათვისება მთელი კლასის მიერ. ამ მეთოდებით სწავლა ხდება სახალისო და შემოქმედებითი პროცესი მოსწავლეთა მცირე ჯგუფებისთვის, უმრავლესობა კი ელემენტარულ ცოდნასაც ვერ იღებს, პასიურად ზის გაკვეთილზე და არ არის ჩართული სასწავლო პროცესში. ეს კი პრობლემებს იწვევს საატესტატო გამოცდების დროს.

დასკვნა

ჩვენ მიერ გამოყენებული მეთოდიკა მიმართული იყო აკადემიური მოსწრების ამაღლებისაკენ მთელ კლასში და ითვალისწინებდა ჩამორჩენილი მოსწავლეების ჩართვას სასწავლო პროცესში. ამ მხრივ კვლევამ დადებითი შედეგები აჩვენა. განხორციელებული ქმედებებით ცოდნის დონე ამაღლდა, თუმცა ეს დაკავშირებული იყო მოსწავლეთა გარეგან მოტივაციაზე და ნაკლებად - შინაგანზე. მათი მიზანი ამ დროს საკონტროლო წერების შედეგები გახლდათ. ეს თავისთავად ამაღლებს ცოდნის დონეს და ამზადებს მოსწავლეებს საატესტაო გამოცდებისთვის, მაგრამ გამორიცხავს შემოქმედებითობას, კრიტიკულ აზროვნებას, ტექსტების ინტერპრეტაციის საშუალებას, პროექტებით სწავლებას, დისკუსიას, სწავლების ინოვაციურ მიდგომებს. ასეთ მეთოდებს მივმართავდით შედარებით იშვიათად, ძირითადად, ახსნისა და საშინაო დავალების გამოკითხვის ეტაპზე, რომლის დროსაც ჩართული იყო კლასის მცირე ნაწილი.

წლების განმავლობაში მე-10 კლასში ერთი და იგივე პრობლემა დგას ქართულის მასწავლებლების წინაშე - მოვასწროთ მასალის ათვისება და მივაღწიოთ მაქსიმალურ ჩართულობას. შედეგი კი ყოველთვის საწინააღმდეგოა - მასწავლებელთა უმეტესობას პროგრამა, კერძოდ, გურამიშვილის ,,დავითიანი“ საერთოდ გაუვლელი რჩება, ხოლო მოსწავლეთა უმრავლესობას წაკითხულიც არა აქვს ტექსტები.

მართალია, ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, მასწავლებელი სახელმძღვანელოს ,,გავლაზე“ არ უნდა იყოს ორიენტირებული, მაგრამ საატესტატო გამოცდის მოთხოვნებსაც ვერ უგულებელვყოფთ. ამიტომ, ვფიქრობთ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მნიშვნელოვანი, კომპლექსური ცვლილებები უნდა განახორციელოს საჯარო სკოლებში სწავლება-სწავლის ხარისხის ასამაღლებლად. აქ მარტო მეთოდების ანაბარა დარჩენილი ენთუზიასტი მასწავლებელი ვერაფერს შეძლებს. გადასახედია საგნობრივი პროგრამებიც. თანამედროვე ახალგაზრდებს 21-ე საუკუნეში ისეთი ცოდნა უნდა მივცეთ და ის უნარები უნდა გამოვუმუშაოთ, რომლებიც გახდით მათ კონკურენტუნარიანებს მსოფლიო გამოწვევების წინაშე.

ბიბლიოგრაფია

1. ინასარიძე მ. ლობჟანიძე ს. რატიანი მ. სამსონია ი. ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევი“ ნაწ. II მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2016; http://tpdc.gov.ge/uploads/pdf_documents/gzamkvlevi%20meore%20nawili.pdf
2. ლობჟანიძეს. ,,როგორ წარვმართოთ პედაგოგიური კვლევები ‘’ ინტერნეტჟურნალი ,,მასწავლებელი“ 2012 წ. 3 მაისი, http://mastsavlebeli.ge/?p=281

ISSN 1512-1801

3. გიორგაძე მიხ. ,,როგორ ვომუშაოთ პედაგოგიურ კვლევებზე?“ /ციფრული რესურსი/ http://www.slideshare.net/mylenss/ss-15892201
4. ზურაბიშვილი თ. ,,თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში“ სოციალურ სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი 2006 წ.
5. http://old.ucss.ge/geo/publication/publications_detail.php?ID=173
6. წულაძე ლ. ,,რაოდენობრივი კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში“ თბ. 2008წ.
7. http://css.ge/files/Books/Books/raodenobrivi_kvlevis_meTodebis_saxelomzgv.pdf

---

Article received: 2016-07-21